

# მარეგულირებელი რეფორმა

## ძირეული სტრუქტურული რეფორმა, პროგრესის მამოძრავებელი ძალა



ფოსტის ოფისი  
იაპონიის საფოსტო ჯგუფის პრივატიზაცია  
განხორციელდა 2007 წელს.

1990-იანი წლების დასაწყისში, *საპნის ბუმის* ეკონომიკის დასრულების შემდეგ, როდესაც იაპონიის წარმოება შეფერხდა, დაიწყო მარეგულირებელი რეფორმების განხორციელება. 90-იანი წლებიდან მთავრობამ აიღო კურსი ქვეყნის ეკონომიკის, საზოგადოებისა და მთავრობის მარეგულირებელი რეფორმების ხელშეწყობისკენ. რეფორმირების საჭიროება განპირობებული იყო რიგი ცვლილებებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა საზოგადოებასა და ეკონომიკურ გარემოში ახალი ათასწლეულის დასაწყისში: იაპონიის მოსახლეობის მოსალოდნელზე სწრაფი დაბერება, გარემოს დაცვის პრობლემები, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარების სისწრაფე და ეკონომიკური გლობალიზაციისთვის შესაბამისი ინდუსტრიული სტრუქტურის განვითარება.

1995 წელს მთავრობამ ჩამოაყალიბა დერეგულაციის ხელშეწყობის გეგმა, რომელიც მოიცავდა 1091 დერეგულაციის საკითხს შემდეგ 11 კატეგორიაში: (1) მიწის ნაკვეთები და საცხოვრებელი; (2) ინფორმაცია და ტელეკომუნიკაციები; (3) დისტრიბუცია; (4) ტრანსპორტი; (5) სტანდარტები, სერტიფიკაცია და იმპორტი; (6) ფინანსები, ფასიანი ქაღალდები და დაზღვევა; (7) ენერგეტიკა; (8) დასაქმება და შრომა; (9) დაბინძურების, ნარჩენებისა და გარემოს დაცვის

საკითხები; (10) საშიში მასალები, კატასტროფებისაგან თავდაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება; (11) სხვა. გეგმაში შესწორებები შევიდა 1996-97 წლებში და საბოლოოდ დაემატა მეთორმეტე კატეგორია - განათლება. შესაბამისად, საკითხთა რაოდენობამ ჯამში 2823 შეადგინა.

1995 წლის გეგმის ვადის ამოწურვის შემდეგ, 1998 წელს მთავრობამ შეიმუშავა დერეგულაციების ხელშეწყობის სამწლიანი პროგრამა, რომელიც მოიცავდა როგორც ახალი, ისე ძველი გეგმით შეუსრულებელ ზომებს. ამ სამწლიანი გეგმის მიზანი იყო რადიკალური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება იაპონიის საზოგადოებასა და ეკონომიკაში; თავისუფალი და სამართლიანი სოციალური და ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც სრულიად გამჭვირვალე იქნებოდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის და დაეფუძნებოდა საკუთარ

პასუხისმგებლობასა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს; საჯარო ადმინისტრაციაში აქცენტი გაკეთდებოდა შედეგების მოცემულ წესებთან შესაბამისობის მონიტორინგზე და არა შედეგების მოლოდინის რეგულაციებზე. ამ გეგმის დერეგულაციის 12 კატეგორიას კიდეც 3 დაემატა: კონკურენციის პოლიტიკა; ჯანდაცვა და კეთილდღეობა; სამართლებრივი ურთიერთობები. სულ ჯამში 624 კატეგორია. სამწლიანი პროგრამა გადაიხედა 1999 და 2000 წლებში.

2001 წლის მარტში მთავრობამ შეიმუშავა მარეგულირებელი რეფორმის ხელშეწყობის სამწლიანი პროგრამა, ტერმინი - დერეგულაცია, რომელიც გამოიყენებოდა წინა გეგმაში, შეიცვალა ტერმინით - მარეგულირებელი რეფორმა. ეს პროგრამა მარეგულირებელი რეფორმის 554 ერთეულს განიხილავდა 15 სპეციფიური დარგის მიხედვით, მათ შორის იყო სამართალი, ფინანსები, განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება, დისტრიბუცია და ენერგეტიკა. იგი ასევე მოიცავდა 104 სექტორთა შორის რეფორმას, რომელიც განიხილებოდა შემდეგი დარგების მიხედვით - საინფორმაციო ტექნოლოგიები, გარემოს დაცვა, კონკურენტუნარიანობა, სერტიფიკაციის სტანდარტები და კვალიფიკაციის სისტემა.

2001 წლის აპრილში, მინისტრთა კაბინეტის ფარგლებში შეიქმნა მარეგულირებელი რეფორმების საბჭო, რომელიც წარმოადგენდა პრემიერმინისტრის მრჩეველ ორგანოს სამწლიანი ვადით. 2002 და 2003 წლებში საბჭოს მიერ მომზადებული პირველი ორი მოხსენება ძირითადად იყო არსებული სამწლიანი პროგრამის გადახედვის საფუძველი. 2002 წლის მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა შემდეგ ექვს საკითხზე: სამედიცინო მომსახურება, სოციალური კეთილდღეობა და ბავშვზე ზრუნვა, დასაქმება, განათლება, გარემოს დაცვა და ურბანული განვითარება. 2003 წელს მოხდა პროგრამის გადახედვა და აქცენტი გაკეთდა სპეციალური ზონების შექმნის და ოპტიმალური უტილიზაციის სტრუქტურულ რეფორმებზე. საბჭოს მიერ მომზადებულ საბოლოო დასკვნაში, 2003 წლის დეკემბერში, შეჯამდა გატარებული რეფორმები და განისაზღვრა მომავალი საკითხები. 2004 წლიდან მარეგულირებელი რეფორმების განხილვა მთავრობაში მარეგულირებელი რეფორმების ხელშეწყობის საბჭოში (2004-2007 წწ.) და მარეგულირებელი რეფორმების ხელშეწყობის ახალ საბჭოში (2007-2010 წწ.) ხდებოდა; ხოლო 2010 წლიდან დღემდე მარეგულირებელ და სისტემურ რეფორმებს განიხილავს მთავრობის რევიტალიზაციის დანაყოფის მიერ შექმნილი კომიტეტი.

## სპეციალური ზონები სტრუქტურული რეფორმებისთვის

სტრუქტურული რეფორმების სპეციალური ზონები არის სპეციალურად გამოყოფილი გეოგრაფიული ტერიტორია, რაც სარგებლობს მარეგულირებელი გამონაკლისებით ადგილობრივი მახასიათებლების მიხედვით, სადაც შესაძლებელია ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე კანონით ან ბრძანებით აკრძალული საქმიანობა. ასეთი საქმიანობის გეგმა უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასა და კერძო კორპორაციას შორის. ასეთი ზონების მიზანია რეგიონის ეკონომიკის გამოცოცხლება დერეგულაციების მეშვეობით და სტრუქტურული რეფორმის წარმატებული მაგალითის შექმნა, რომელიც შემდგომ ეროვნულ დონეზე დაინერგება. სპეციალური ზონების სტრუქტურული რეფორმის კანონი მიიღეს 2002 წლის დეკემბერში, ხოლო სისტემა ძალაში 2003 წლის აპრილიდან შევიდა. 2013 წლის ნოემბერისთვის მთავრობამ საერთო ჯამში 1,212 ამგვარი სპეციალური ზონა დაამტკიცა. აქ

შედიოდა სპეციალური საგანმანათლებლო ზონები, სადაც კერძო კორპორაციებს შეუძლიათ სკოლებისა და უნივერსიტეტების გახსნა; სოფლის მეურნეობის სპეციალური ზონები, სადაც კერძო კომპანიებს შეუძლიათ საქმიანობა და საერთაშორისო სავალუტო სპეციალურ ზონები, სადაც გამარტივებული სავიზო რეჟიმი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის.

## კომუნიკაციები და მაუწყებლობა

კომუნიკაციის სფეროში მარეგულირებელი რეფორმა სათავეს იღებს 1985 წელს უმსხვილესი შიდა გადამზიდავი ნიპონ ტელეგრაფისა და ტელეფონის (NTT) პრივატიზაციიდან. მას შემდეგ,



### მობილური ტელეფონები

ხელმისაწვდომი ფასები და მრავალფეროვანი მომსახურება იწვევს მობილური ტელეფონების აქტიურ გაყიდვას. (ფოტო Getty Images-სგან)

რაც ახლად დაფუძნებულმა საერთო გადამზიდავმა მოახერხა შორ მანძილზე კომუნიკაციის ბაზრის უზრუნველყოფა, კონკურენციისა და ტექნოლოგიური ინოვაციების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სატელეფონო ფასები.

ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა მობილური კომუნიკაცია. ტელეფონების გაქირავების სისტემა 1994 წელს შეცვალა გაყიდვების სისტემამ, 1996 წელს მეტად ლიბერალური გახდა ახალი უფასო სერვისის გეგმის რეგულაცია, ხოლო 1998 წელს მობილური ტელეფონების ავტორიზაციის პროცედურები საგრძნობლად გამარტივდა და პროგრამებზე ფასმა დაიწია. ასეთმა რეფორმებმა გამოიწვია მობილური კომუნიკაციების ბუმი და 1994 წლის მარტში 2.13 მილიონიდან 2013 წელს და 135, 38 მილიონი აბონენტს მიაღწია.

დერეგულაციის ზომების შედეგად 1997 წელს, NTT-ს უფლება მიეცა საერთაშორისო ზარების ბაზარზე შესულიყო. *კოკუსაი დენშინ* დენვა (KDD), რომელიც საერთაშორისო ზარების ოპერატორი იყო, დაშვებულ იქნა ადგილობრივი ზარების ბაზარზე. წესები შემუშავდა ასევე ქსელური კავშირებისთვის, აკრძალვა მოეხსნა საჯარო-პირად-საჯარო ქსელს. 1998 წელს გაუქმდა რეგულაცია, რომელიც კრძალავდა სხვა ქვეყნის წარმომადგენლის მიერ სატელეკომუნიკაციო კომპანიების ფლობას, გამონაკლისს წარმოადგენდა NTT და KDD. 1999 წელს NTT გაიყო ორ დიდ კომპანიად - ნიპონ ტელეგრაფის და ტელეფონის აღმოსავლეთ კორპორაციად და ნიპონ ტელეგრაფისა და ტელეფონის დასავლეთ კორპორაციად. დერეგულაციით გამოწვეულმა ინტენსიურმა კონკურენციამ ბიძგი მისცა რეორგანიზაციას წარმოებაში, რომლის ერთი მაგალითია KDD-სა და NCC-ს შერწყმა 2000 წელს, რომლის შედეგად შეიქმნა KDDI კორპორაცია.

ბიზნესსა და პირად კომუნიკაციებში ინტერნეტის გამოყენების ზრდა კიდევ ერთი ტიპის განვითარებაა, რომელმაც განიცადა დერეგულაცია საკომუნიკაციო ინდუსტრიაში. 2012 წლისთვის ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი იყო 96.5 მილიონი. ბროუდბენდით



დაქსელილი შენობების რაოდენობა 85.9% იყო, ხოლო ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაკაბელების ხვედრითმა წილმა 54.8%-ს მიაღწია. ამ უკანასკნელმა სულ უფრო მეტი მომხმარებელი მიიზიდა.



ტოკიოს საფონდო ბირჟა

1999 წლიდან მაუწყებლობის კანონში ცვლილებამ შესაძლებელი გახადა მრავალი ტიპის მონაცემების გადაცემა ციფრული სიგნალის მეშვეობით, გარდა პროგრამული სურათისა და ხმისა, ტელევიზიისა და რადიოს ციფრული მაუწყებლობა თანდათანობით გავრცელდა 2003-2006 წლებში. 2011 წლის ივლისში შეწყდა სატელიტური და დაინერგა ციფრული მაუწყებლობა, რამაც შესაძლებელი გახადა მაღალი ხარისხის ვიდეო, აუდიო და სხვა მონაცემების გადაცემა, მათ შორის მაღალი გარჩევადობის სიგნალებით მაუწყებლობა და 5.1 არხის წრიული ხმის სისტემა.

## ფინანსები

თავისუფალ, სამართლიან და გლობალურ კონცეფციაზე დაყრდნობით, იაპონიის მთავრობამ განახორციელა რადიკალური რეფორმები საფინანსო ბაზარზე, რომელსაც „დიდი აფეთქება“ უწოდეს. ამ სფეროში მარეგულირებელი რეფორმის მიზანი იყო იაპონიაში კერძო ინვესტიორების წახალისება. ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის კანონში ცვლილებებმა მოხსნა ბარიერები საბანკო, ფასიანი ქაღალდებისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში, რის შედეგადაც გაიზარდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმზიდველობა, კონკურენცია და ბრუნვა. მოიხსნა შეზღუდვები ჰოლდინგებზე, რამაც გაზარდა ოპერაციების არეალი ფასიანი ქაღალდების სახლებსა და ბანკებში.

უცხოური ვალუტის მაკონტროლებელ კანონში ცვლილებები 1998 წელს შევიდა ძალაში და მოხდა ამ სფეროს სრული ლიბერალიზაცია, რამაც საწარმოებსა და კერძო პირებს უცხოელ პარტნიორებთან გარიგებებისა და ანგარიშსწორების საშუალება მისცა. 1998 წელს ფინანსურ სისტემაში რიგი რეფორმების გატარების შემდეგ, რომელიც მოიცავდა საკომისიო ანაზღაურებებისა და დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) პრემიების დერეგულაციასთან დაკავშირებულ ცვლილებებს; შეზღუდვები მოიხსნა ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო ბაზარზე და ბანკებში დაშვებულ იქნა საინვესტიციოდ სანდო პროდუქციის გაყიდვა. 2001 წლიდან გატარებულმა მარეგულირებელი რეფორმის ღონისძიებებმა ბანკებს საშუალება მისცა ეწარმოებინათ დაზღვევის სხვადასხვა პროდუქტის პირდაპირი გაყიდვები.

## სხვა სექტორები

**სადისტრიბუციო ინდუსტრია:** დიდი მასშტაბის საცალო მაღაზიის კანონი მიიღეს 1974 წელს, რათა დაეცვათ დამოუკიდებელი მცირე საცალო მოვაჭრეები. ეს შეზღუდვები შემსუბუქდა შემდგომი 3 შესწორების შემდეგ 1990-იან წლებში. დიდი მასშტაბის საცალო მაღაზიის გახსნაზე

განაცხადებათა რაოდენობა 794-დან (1989 წელს) 1667-მდე (1990 წელს) გაიზარდა, ხოლო პიკს მიაღწია 1996 წელს 2269 განაცხადით. დიდი საცალო მაღაზიების მიერ ადგილობრივი საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნების ზომების შესახებ კანონმა, რომელიც მიიღეს 1998 წელს და ძალაში შევიდა 2000 წელს, შეცვალა დიდი საცალო მაღაზიების კანონი. ახალმა კანონმა აქცენტი პატარა მაღაზიების დაცვიდან ადგილობრივი გარემოს დაცვაზე გადაიტანა.

1996 წელს შეიცვალა ბრინჯის გაყიდვების რეგულაცია და შეზღუდული ნებართვების სისტემიდან რეგისტრაციის სისტემაზე გადავიდა, სადაც ნებისმიერს შეეძლო მონაწილეობის მიღება. 1999 წელს სარეგისტრაციო პროცედურები უფრო გამარტივდა. 1993 წელს მოხდა სასმელის ლიცენზიის გაცემის პროცედურების ლიბერალიზაცია, ხოლო 2000 წელს დარჩენილი კრიტერიუმებიც გაუქმდა. ზოგადი ფარმაცევტული პროდუქციის გაყიდვის უფლება მანამდე მხოლოდ ლიცენზირებულ, ფარმაცევტებით დაკომპლექტებულ აფთიაქებს ჰქონდათ, მაგრამ 1999 წლიდან ზოგიერთი მედიკამენტი, რომელსაც ერთ დროს რეცეპტი სჭირდებოდა, როგორცაა ვიტამინები, შევიდა “ნახევრადწამლები“ კატეგორიაში და მათი გაყიდვა შეიძლებოდა როგორც აფთიაქებში, ისე ჩვეულებრივ მაღაზიებში. 2009 წლიდან დაიწყო და თანდათან გაფართოვდა ნაკლები რისკის მქონე წამლების გაყიდვა ჯერ რეგისტრირებულ საცალო გაყიდვის პუნქტებში, შემდეგ კი - სუპერმარკეტებსა და სადღეღამისო მაღაზიებში. 1998 წლიდან სადგურებზე დაიშვა თვითმომსახურებითი საწვავის სატუმბები.



**დაბალბიუჯეტური ავიაკომპანია**  
 აღნიშნული ავიაკომპანია მსხვილი ავიაგადამზიდებისგან განსხვავებით სარგებლობს ფასდაკლებებით

**ტრანსპორტი:** შიდა ავიაკომპანიების ბიზნეს-რეგულაციები გადაიხედა, მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირების კუთხით. 1997 წლის აპრილში გაუქმდა ორმაგი და სამმაგი მარშრუტის გადასახადი, რათა წახალისებულიყო კონკურენცია ავიაკომპანიებს შორის. ასევე 1997 წელს შეიქმნა ახალი კომპანიები, მას შემდეგ, რაც ჰენადას აეროპორტში ასაფრენი ბილიკის დამატებამ მგზავრთა მოცულობა გაზარდა. შედეგად, ორმა ახალმა კომპანიამ, შკიმარუკ ავიახაზები და აირ დო, დაიწყო ოპერირება 1998 წლიდან. 2000 წლის შემდეგ, ავიაკომპანიები თავად განსაზღვრავდნენ ფრენების მიმართულებებს, რის შედეგადაც გაჩნდა ფასდაკლებები და შემცირდა ფასები. 2012 წელს, ოპერირება დაიწყო სამმა დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიამ (LCCs), რის შედეგადაც ქვეყნის შიდა და საერთაშორისო გადაადგილება უფრო ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი გახდა.

**მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი:** პრესტიჟულ უბნებში მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების ხვედრითი წილი გაიზარდა, ხოლო საერთო საცხოვრებლების რიცხვი შემცირდა. მიღებული ზომების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა საცხოვრებელი ფართობი. 1998 წელს, შეიცვალა არქიტექტურული სტანდარტების კანონი და კერძო ორგანიზაციებს მიეცათ შენობების შემოწმების უფლება, რასაც ადრე მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები აკეთებდნენ.

**ჯანდაცვა და კეთილდღეობა:** კერძო სექტორის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები გულისხმობდა კერძო სექტორთან (როგორც კომერციული ისე არამომგებიანი) თანამშრომლობას მოხუცთა მოვლის სფეროში. მანამდე ამ სფეროში საჯარო სექტორი დომინირებდა. ასევე გადაიხედა მედიკამენტების ფასების სისტემა. 2000 წლიდან კერძო კორპორაციებს შეეძლოთ

ბავშვთა ზრუნვის დაწესებულებების მართვა, როდესაც მანამდე მხოლოდ მუნიციპალურ ხელისუფლებას და სოციალური კეთილდღეობის კორპორაციას ჰქონდა ამის უფლება.

**განათლება:** 2000 წელს გატარებული მარეგულირებელი რეფორმა უფლებას აძლევდა ინდივიდებს პედაგოგიური განათლებისა და სამუშაო გამოცდილების გარეშე დაეკავებინათ საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობა, რამაც კერძო სექტორში მუშაობის გამოცდილებისა და სხვადასხვა უნარების მქონე ადამიანების საჯარო სექტორში დასაქმებას შეუწყო ხელი. მომდევნო რეფორმებმა გაამარტივა დაწყებითი და საშუალო კერძო სკოლებისთვის დაწესებული მოთხოვნები, გაუადვილა საერთაშორისო და ეთნიკური სკოლების კურსდამთავრებულებს მონაწილეობის მიღება იაპონური ეროვნული უნივერსიტეტების მისაღებ გამოცდებში.